საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სახმელეთო ტრანსპორტის
სააგენტო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

LAND TRANSPORT
AGENCY

0160, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
16, Vazha-pshavela ave., Tbilisi, GEO-0160, Georgia

www.lta.gov.ge
mail: chancellery@lta.gov.ge

ტელ/ Tel: (995 32) 2 36-55-04, 2 51-06-71
ფაქსი/Fax: (995 32) 2 51-06-64, 2 51-06-71

„10" 12 2018წ. № 01/872

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ მამუკა ბახტაძეს

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. კოდექსის 49-ე მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებთან დაკავშირებით:

– საანგარიშო პერიოდში (2017 წლის 10 დეკემბრიდან-2018 წლის 10 დეკემბრამდე) სააგენტოში შემოსულია 15 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, აქედან სამი განცხადება შემოვიდა ელექტრონულად;

– თითოეული განცხადების შესაბამისად გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;

– მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააგენტოს დირექტორის, სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილის (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) ირინე გიორგობიანის და სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის (საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი) სპეციალისტის ანა იმნაიშვილის მიერ.

2. კოდექსის 49-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით:

– სააგენტოში შექმნილია საჯარო მონაცემთა ბაზები. სააგენტოს ყველა თანამშრომელზე შეგროვებული და დამუშავებულია პერსონალური მონაცემები. იგივე კეთდება ახალი თანამშრომლის მიღებისას. ინფორმაცია თანამშრომლების პერსონალური მონაცემების აღნიშნული საინფორმაციო ბაზისა და მასში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ყოველთვიურად მიეწოდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შემდგომში საჯარო სამსახურის ბიუროსათვის მიწოდების მიზნით.

3. რაც შეეხება 49-ე მუხლის „დ", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებს – ასეთი შემთხვევები სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

სააგენტოს დირექტორი მიხეილ ხმალაძე